[“ლოკომოტივი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი)]

მოსკოვი. 3 მაისი (ტელეფონით ჩვენი კორ.).

მოსკოველები დიდი ინტერესით მოელოდნენ თბილისის “დინამოს” პირველ გამოსვლას დედაქალაქში. მაგრამ მაყურებელთა მოლოდინი არ გამართლდა. მათ ვერ ნახეს საინტერესო, დაძაბული ბრძოლა იმის გამო, რომ სტუმრებმა შეხვედრა ჩაატარეს სუსტად, დაბალ სპორტულ დონეზე. პირველივე გაშვებული ბურთის შემდეგ გუნდმა ფაქტიურად თითქმის შეწყვიტა ბრძოლა გამარჯვებისათვის და დათმო თამაში. ერთადერთი მოთამაშე, რომელიც გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენდა “ლოკომოტივის” კარისათვის, ეს იყო კალოევი. სწორედ მან გადაუგდო თავით ბურთი მეკარე მასლაჩენკოს და გახსნა ანგარიში. ეს მოხდა მე-15 წუთზე. მცირე ხნის შემდეგ მოსკოველთა მარჯვენა გარემარბმა ზაიცევმა გაქვითა გოლი - 1:1.

მეორე ტაიმში “ლოკომოტივს” აშკარა უპირატესობა ჰქონდა. ჯერ ბუბუკინმა გაიტანა მეორე გოლი, ხოლო შემდეგ პარჩენკომ ანგარიში ოთხამდე აიყვანა.

უკვე მაშინ, როცა ანგარიში იყო 4:1 “ლოკომოტივის” სასარგებლოდ, თბილისელებს შეეძლოთ მეორე ბურთის გატანა, მაგრამ ჭკუასელმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ააცილა კარს.

თბილისის “დინამო” თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ჩოხელი, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, სიჭინავა, ჭკუასელი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით - 1:0.

“ლელო”, 5 მაისი, 1959 წ.